



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ერთა ლიგა

ერთა ლიგა, სახელმწიფოთა პოლიტიკური თანამშრომლობის პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია. შეიქმნა 1919. წესდებს ხელი მოაწერა 44 სახელმწიფომ, აშშ-მა უარი თქვა ე. ლ-ის წევრობაზე. წესდების მიხედვით, ე. ლ. მიზნად ისახავდა ხალხთა შორის თანამშრომლობის განვითარებას და მათი უშიშროების უზრუნველყოფას. მისი საქმიანობა შეწყდა 1940, ოფიციალურად დაიშალა 1946. 1919 წ. 21 მაისს, პარიზის საბავო კონფერენციაზე, საქართვე. დემოკრ. რესპ. ხელმძღვანელმა ნ. ჩხეიძემ ე. ლ-ს მიმართა თხოვნით ორგანიზაციაში საქართველოს განევრიანების შესახებ, მაგრამ ე. ლ-მ არ განიხილა ეს საკითხი, სანამ არ დაიდო საქართველო-რუსეთის 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულება. 1920 წ. 1 სექტემბერს ნ. ჩხეიძემ სპეც. მემორანდუმით კვლავ გაიმეორა საქართვე. მთავრობის თხოვნა. 1920 შემოდგომაზე ე. გეგეჭკორი გაემგზავრა ევროპაში, სადაც შეხვდა ევრ. ქვეყნების წამყვან პოლიტ. ლიდერებს. მოლაპარაკებებზე განიხილებოდა სხვადასხვა საკითხი: საქართველოს ე. ლ-ში მიღების, მისი „დე იურედ“ ცნობის და სხვ. 1920 წ. 12-16 ოქტომბერს ქ. მილანში გაიხსნა ე. ლ-ის საერთაშ. ასოციაციების მეოთხე კონგრესი, რ-ის მუშაობაში პირველად მიიღო მონაწილეობა ე. ლ-ის საქართვე. ასოციაციის (შეიქმნა 1919 წ. 7 დეკ.) წარმომადგენელმა ნ. ჯაყელმა. კონგრესზე იგი სიტყვით გამოვიდა 16 ოქტომბერს; ამავე დღეს კონგრესის თავ-რის ჯ. რუფინის წინადადებით საქართველოს ასოციაცია მიღებულ იქნა ე. ლ-ის საერთაშ. ასოციაციების წევრად. 1920 წ. 16 დეკემბერს ე. ლ-ის საერთო კრებაზე იხილებოდა ამ ორგანიზაციაში საქართველოს წევრად მიღების საკითხი, რ-იც მომზადდა ჟენევაში ე. ლ-ის მუდმივ სამდივნოსთან მოლაპარაკებებისა და მიმონერით 1920 ზაფხულსა და შემოდგომაზე. საქართველოსა და სხვა ახლად შექმნილ დამოუკიდებელ ქვეყნებს ე. ლ-ისაკენ იზიდავდა მისი წესდების მე-10 მუხლი, რ-ის თანახმადაც ე. ლ-ის წევრები ვალდებულებას იღებდნენ, პატივი ეცათ და დაეცვათ ორგანიზაციის ყველა წევრ-სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. მაგრამ სწორედ ეს მუხლი გახდა საქართველოს ე. ლ-ში განევრიანების ხელისშემშლელი

ფაქტორი. განხილვაზე სიტყვით გამოვიდნენ ფ. ნანსენი (ნორვეგია) და რ. სესილი (სამხრ. აფრიკა), რ-თაც მხარი დაუჭირეს საქართველოს მიღებას ე. ლ-ში. დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა კ. ფიშერმა კი განაცხადა, რომ საქართველოს შემთხვევაში მე-10 მუხლის დაცვა რთული იქნებოდა, ამასთან არ შეიძლებოდა ამ საკითხის განცალკევება ბალტიისპირეთის რესპუბლიკათა საკითხისაგან. ორივე საკითხს რუსეთის ზეგავლენის სფეროში შეჭრასთან აკავშირებდნენ, რაც ამუხრუჭებდა ამ ქვეყნების ე. ლ-ში მიღების პროცესს. კენჭისყრაში 24 სახელმწ. მონაწილეობდა. საკითხის გადასაჭრელად საკმარისი იყო 16 ხმის მიღება. საქართველოს ე. ლ-ში განევრიანებას მხარი დაუჭირა 10 სახელმწიფომ: სამხრ. აფრიკამ, ბოლივიამ, კოლუმბიამ, იტალიამ, ნორვეგიამ, პარაგვაიმ, ირანმა, პორტუგალიამ, შვეიცარიამ და ჩილემ. წინააღმდეგ ხმა მისცა 10 სახელმწიფომ: ავსტრალიამ, კანადამ, კუბამ, დიდმა ბრიტანეთმა, ესპანეთმა, საფრანგეთმა, ახალმა ზელანდიამ, ნიდერლანდებმა, ჩეხოსლოვაკიამ, დანიამ. თავი შეიკავეს: ბელგიამ, პოლონეთმა, რუმინეთმა, შვედეთმა. დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის უარყოფითი პოზიციის გამო საქართველოს ე. ლ-ში მიღება შეუძლებელი გახდა. მართალია, საქართველომ დემოკრ. რესპუბლიკა ცნეს როგორც დე-ფაქტო (1920), ასევე დე-იურე (1921 იანვარი), მაგრამ ე. ლ-ის გარეთ დარჩენამ ხელი შეუწყო საბჭ. რუსეთის აგრესიული ზრახვების რეალიზაციას. 1921 თებ.-მარტში რუსეთმა დაიპყრო საქართველო, მოხდა მისი ფაქტობრივი ანექსია.

ა. მენტეშაშვილი
